ISSN 1512-1801

159.922.8

სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრის საფუძვლად მდებარე ფსიქოლოგიური ფაქტორები

შოგირაძე ჯინა[1], ბანძელაძე თინათინ [2], არუთინოვა ლუიზა[3]

[1,2,3]ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 11ა, თსუ-ს მე-3 კორპუსი, თბილისი, 0179.

ანოტაცია

წინამდებარე კვლევის მიზანია სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრისთვის რელევანტური ფსიქოლოგიური ფაქტორების ასაკობრივი განვითარების შესწავლა. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წელია. სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება პირის ბრალუნარიანობის განსაზღვრის საფუძველზე ხდება, ხოლო ბრალუნარიანობა ინტელექტუალური და ემოციური მოწიფულობისგან შედგება. ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან ბრალუნარიანობის ცნების კომპონენტებს მთელი რიგი კოგნიტური და ფსიქოსოციალური ფაქტორები შეესაბამება.იმის დასადგენად, თუ რამდენად მართებულია ის, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი არის 14 წელი, საჭიროა აღნიშნული ფაქტორების ასაკობრივი განვითარების შესწავლა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 12-დან 26 წლამდე ასაკის 397-მა რესპონდენტმა. შეისწავლებოდა განსჯის მომწიფებულობის განმსაზღვრელი ფსიქოსოციალური და კოგნიტური ფაქტორები - შეგრძნებათა მაძიებლობა, იმპულსურობა, გადაწყვეტილების მიღების უნარი. შედეგებმა აჩვენა, რომ შეგრძნებათა მაძიებლობისა და იმპულსურობის გარკვეული კომპონენტების მიხედვით, მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს ადრეული მოზარდობისა და გვიანი მოზარდობის ასაკობრივ ჯგუფებს შორის, თუმცა განსხვავებები არ ვლინდება ადრეული და შუა მოზარდობის ასაკში მყოფ ინდივიდებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარების ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან, ჩნდება კითხვა არსებული სამართლებრივი ნორმის მართებულობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: სამართლებრივი პასუხისმგებლობა, შეგრძნებათა მაძიებლობა, იმპულსურობა, გადაწყვეტილების მიღების უნარი, ასაკობრივი განვითარება

შესავალი

''სპონტანური, ექსტრემის და დამოუკიდებლობის მოყვარული ვარ, საკუთარი სიცოცხლით თამაში მიყვარს.''

13 წლის, მდედრობითი

არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის 13 წლის ბენეფიციარის ამ სიტყვებმა ორ მნიშვნელოვან საკითხზე დაგვაფიქრა - მოზარდობის ასაკში მიმდინარე ცვლილებებზე და იმაზე, თუ როგორ მიიყვანა ამ ცვლილებებმა ეს გოგონა

ISSN 1512-1801

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის კარამდე. ის არ არის რაიმე ცალკეულ თუ უნიკალური შემთხვევა, ის მოზარდობის ასაკის რეპრეზენტაციაა. ამასთან, თუ საკითხს ინდივიდის პერსპექტივიდან შევხედავთ, უნდა ითქვას, რომ თუ მოზარდი იგივე ქცევას 14 წლის ასაკში განეხორციელებდა, სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა და მისი ცხოვრება შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეცვლილიყო. ამ ერთი შემთხვევიდანაც ჩანს, თუ რაოდენ ფრთხილი მიდგომაა საჭირო, როცა საქმე მოზარდის ქცევის შეფასებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ეხება, განსაკუთრებით, მართლმსაჯულების კონტექსტში. ალბათ, არსად ისეთი აუცილებელი და საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ არის ინტერდისციპლინური მიდგომა, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ვინაიდან აქ მიღებული გადაწყვეტილებები დიდ, შესაძლოა, კარდინალურ გავლენას ახდენს მოზარდის ცხოვრებასა და მის განვითარებაზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ სამართლის სფერო ითვალისწინებს ფსიქოლოგიის მეცნიერებაში დაგროვილ ცოდნას, რომელიც მოზარდებსა და ზრდასრულ ადამიანებს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებებზე აპელირებს და ამ განსხვავებებზე დაყრდნობით ეპყრობა მოზარდს.[1] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, სადაც მოზარდობის ასაკში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინება კრიტიკულად აუცილებელია, სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დადგენას ეხება. როდის უნდა განვიხილოთ მოზარდის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება დანაშაულად, როდის უნდა დავაკისროთ მას პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედების გამო, როდის მივიჩნიოთ ის ბრალუნარიანად? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად განვითარების ფსიქოლოგიაში დაგროვილი ცოდნის გამოყენებაა საჭირო.[1] ჩადენილი ქმედების გამო სამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს იმ შემთხვევაში ეკისრება, თუ ის ინტელექტუალურად და ემოციურად საკმარისად არის მომწიფებული, რაც ქცევის დამაზიანებელი შედეგების გაცნობიერების უნარსა და მისი გაკონტროლების შესაძლებლობაში ვლინდება.[2] პასუხი იმაზე, თუ რამდენად და როდის აქვს შესაბამისი უნარი მოზარდს, რიგი კოგნიტური და ფსიქოსოციალური მახასიათებლების ასაკობრივი განვითარების ტრაექტორიაში უნდა ვეძებოთ.

ამ მიმართულებით წარმოებული არაერთი კვლევის ავტორი ლოურენს სტეინბერგია, რომელიც სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფსიქოლოგიურ ეკვივალენტ კონსტრუქტად განსჯის მომწიფებულობას განიხილავს. ეს უკანასკნელი გულისხმობს ყოველდღიურ ცხოვრებაში გადაწყვეტილების მიღების უნარს, ფსიქოსოციალური და კოგნიტური ფაქტორების გავლენის ფონზე.[3] სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის ოპტიმალური დონის დასადგენად უმთავრესი ამოცანა, სწორედ, ამ ფაქტორების განვითარების შესწავლაა. ერთი მხრივ, აუცილებელია ისეთი კოგნიტური უნარების კვლევა, როგორებიცაა გაგება და მსჯელობა, ხოლო მეორე მხრივ, ფსიქოსოციალური ფაქტორების - თანატოლთა ზეგავლენა, მომავალზე ორიენტაცია, იმპულსურობა, ჯილდოს მიმართ სენსიტიურობა.[4] განსაკუთრებული აქცენტი ფსიქოსოციალურ ფაქტორებზე კეთდება, ვინაიდან გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, მოზარდები კოგნიტური განვითარების დონის მიხედვით ზრდასრულებისგან არ განსხვავდებიან.[1] შესაბამისად, კოგნიტური განვითარების დონე არ არის საკმარისი ფაქტორი, რომელსაც სამართლის სფერო უნდა დაეყრდნოს არასრულწლოვნების სრულწლოვანი ადამიანებისგან გამიჯვნისა და შესაბამისი

ISSN 1512-1801

მიდგომების შემუშავების, მათ შორის, სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დადგენის მიზნით. კოგნიტურ ფაქტორებთან ერთად, განსჯის მომწიფებულობის მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელსაც წვლილი შეაქვს ბრალუნარიანობის განსაზღვრაში, ფსიქოსოციალური ფაქტორებია. კოგნიტური კომპონენტისგან განსხვავებით, ფსიქოსოციალური ფაქტორების მომწიფება და ზრდასრულისთვის შესაბამისი დონის მიღწევა არ სრულდება შუა მოზარდობის ასაკში, არამედ ადრეულ მოწიფულობამდე გრძელდება.[4]

ლაურენს სტეინბერგის დუალისტური სისტემების მოდელი[5], რომელიც შეისწავლის მოზარდის ტვინის განვითარების საფუძველზე კოგნიტური და ფსიქოემოციური უნარების განვითარების დინამიკას, ადასტურებს ფსიქოლოგიური თეორიების რელევანტურობას სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრის კონტექსტში. მოზარდობის ასაკში განსჯის მოუმწიფებლობას და სარისკო ქცევებისადმი მოწყვლადობას ტვინის ორი სისტემის - კოგნიტური კონტროლის სისტემისა და სოციოემოციური სისტემის - ასინქრონული განვითარება იწვევს. პუბერტატის პერიოდში სოციოემოციური სისტემის განსაკუთრებული აქტივაცია მოზარდს ჯილდოს მიმართ მეტად სენსიტიურს ხდის, ძლიერდება თანატოლთა გავლენის ეფექტი. ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული კოგნიტური კონტროლის სისტემა და, შედეგად, მოზარდი იმპულსური ქმედებებით ხასიათდება. იქმნება ე.წ ასაკობრივი ''ფანჯარა'', რა პერიოდშიც მოზარდი სარისკო ქცევების განხორციელებისადმი ყველაზე მოწყვლადია, ხოლო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის - არასაკმარისად მომწიფებული.[6]

საერთაშორისო ორგანიზაციები, ითვალისწინებენ რა მეცნიერული კვლევების შედეგებს, მუდმივად მოუწოდებენ სახელმწიფოებს სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის გაზრდისაკენ.[7] საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წელია.[8] არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად ლეგიტიმურია ნორმა, რომელიც არასრულწლოვნის ბრალუნარიანობას კონკრეტული ქრონოლოგიური ასაკის (14 წელი) საფუძველზე ადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიმართულებით ემპირიული კვლევის ჩატარება სიახლეა ჩვენს ქვეყანაში.

წინამდებარე კვლევის მიზანია, შეისწავლოს ზოგიერთი იმ ფსიქოლოგიური ფაქტორის (შეგრძნებათა მაძიებლობა, იმპულსურობა, გადაწყვეტილების მიღება) ასაკობრივი განვითარება, რომლებსაც სახელმწიფო ბრალუნარიანობის და, შედეგად, სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დადგენისას უნდა ითვალისწინებდეს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრა ეფუძნება ბრალუნარიანობის კონცეფციას, რაც, თავის მხრივ, დანაშაულის ერთ-ერთ მდგენელს წარმოადგენს, მართლწინააღმდეგობასთან ერთად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაული განიმარტება, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. სწორედ დანაშაულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.[9] ბრალუნარიანობა მოიაზრებს იმას, რომ პიროვნებას აქვს თავისუფალი ნება და ამ ნების წარმართვის უნარი, ხოლო ბრალუუნარო ადამიანს ჩადენილი ქმედება ეპატიება.[2] სამართალში

ISSN 1512-1801

ბრალუნარიანობის ცნება გაიგივებულია შერაცხადობასთან, რაც, ორი ფაქტორით განისაზღვრება: ინტელექტუალური და ემოციური (ვოლიტატური). პირველი გულისხმობს იმის გააზრების უნარს, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა და მისი შედეგები - დამაზიანებელი, ხოლო მეორე მოიაზრებს თვითკონტროლს (''ქმედებაზე ხელმძღვანელობა''), პიროვნება შეურაცხადად, ანუ ბრალუუნაროდ ითვლება მაშინ, როცა აღინიშნება აღწერილიდან ერთი უნარის დეფიციტი მაინც.[2] არსებობს ბრალის გამომრიცხავი ორი გარემოება - ასაკი და ფსიქიკური დაავადება. ბრალუუნაროდ ითვლება ყველა ის პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში არ იყო 14 წლის.[8]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ პირი სამართლებრივად ბრალუნარიანად მივიჩნიოთ, მისი ინტელექტუალური და ემოციური სფეროები საკმარისად უნდა იყოს განვითარებული. ამ ცნების საუკეთესო ეკვივალენტს ფსიქოლოგიაში განსჯის მომწიფებულობა წარმოადგენს, რაც ემოციური და სოციალური ცვლადების გავლენის ფონზე, კოგნიტური უნარების გამოყენებით ყოველდღიურ ცხოვრებაში გადაწყვეტილების მიღების უნარს გულისხმობს.[1] თავად გადაწყვეტილების მიღება არის კოგნიტური და სოციალურ-ემოციური ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგად მიმდინარე პროცესი, რომელიც მოიცავს კრიტიკული აზროვნების სხვადასხვა ელემენტს.[10]

კოგნიტური და ფსიქოსოციალური უნარების ასაკობრივი განვითარების ხაზი სხვადასხვაგვარია. ძირითადი კოგნიტური უნარები 16 წლის ასაკში იმგვარადვეა განვითარებული, როგორც ზრდასრული ადამიანის შემთხვევაში, რასაც ვერ ვიტყვით ფსიქოსოციალურ უნარებზე, 18 წლის ასაკშიც კი ფსიქოსოციალური ფუნქციონირება ნაკლებად მომწიფებულია, ვიდრე 25 წლის ასაკში[3].

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ორი ძირითადი კოგნიტური უნარია ჩართული - გაგება და მსჯელობა. გაგება (understanding) გულისხმობს გადაწყვეტილების მისაღებად რელევანტური ინფორმაციის გააზრებას, ხოლო მსჯელობაში (reasoning) იგულისხმება მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაციის ლოგიკურად გამოყენების უნარი. აღნიშნული უნარები ვითარდება 11-დან 16 წლამდე და, როგორც უკვე აღინიშნა, 16 წლის მოზარდები ამ მხრივ ზრდასრულებისგან არ განსხვავდებიან.[1]

Steinberg და Cauffman-ის მიხედვით, ფსიქოსოციალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ განსჯაზე და, შედეგად, გადაწყვეტილების მიღებაზე, სამ კატეგორიად იყოფა: პასუხისმგებლობა (ავტონომიურობა, თავდაჯერებულობა, იდენტობის სიცხადე), თვითკონტროლი (იმპულსურობის კონტროლი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში რადიკალური არჩევანისგან თავის არიდება, ქმედების განხორციელებამდე სიტუაციის შეფასება, სხვებისგან რჩევის თხოვნა) და პერსპექტივა (უნარი გაიაზრო სიტუაციის კომპლექსურობა და მიიღო გადაწყვეტილება ფართო კონტექსტის გათვალისწინებით).[11] 18-21 და 22-27 წლის ინდივიდებთან შედარებით, 14-17 წლის მოზარდებს მნიშვნელოვნად უფრო დაბალ დონეზე აქვთ განვითარებული ის უნარები, რომლებსაც მოიცავს პასუხისმგებლობის და პერსპექტივის ფსიქოსოციალური ფაქტორები.[12] მოდელის დახვეწილ, თანამედროვე ვერსიაში გამოიყოფა ოთხი ფსიქოსოციალური ფაქტორი: თანატოლთა ზეგავლენა, მომავალზე ორიენტაცია, რისკის შეფასება, იმპულსურობა.[4]

ISSN 1512-1801

რისკის შეფასება - მოზარდები მოზრდილებისგან არ განსხვავდებიან რისკის შეფასების უნარით, ისინი ერთნაირად აფასებენ სხვადასხვა სიტუაციების რისკიანობის ხარისხს. მიუხედავად ამისა, მოზარდები მეტად არიან ჩართული სარისკო აქტივობებში. მოზარდებში გაზრდილ სარისკო აქტივობას განაპირობებს ჯილდოს მიმართ მათი დამოკიდებულება. მოზარდებისთვის ჯილდოს ღირებულება და მნიშვნელოვნება უფრო დიდია, ვიდრე მოზრდილთათვის.[4] ჯილდოს მიმართ ამგვარი სენსიტიურობა აიხსნება მოზარდობის ასაკში მიმდინარე ნეირობიოლოგიური ცვლილებებით, კერძოდ, პუბერტატის პერიოდში იზრდება დოფამინერგული სისტემის აქტივაცია, რის გამოც მოზარდი ჯილდოს მიმართ მეტად სენსიტიური ხდება. ჯილდოს მიმართ სენსიტიურობა ვლინდება შეგრძნებათა მაძიებლობაში. მოზარდი მზადაა განახორციელოს სარისკო ქცევები, რათა ახალი გამოცდილებისა და შეგრძნებების სახით მოიპოვოს ჯილდო.[6] შეგრძნებათა მაძიებლობა (sensation seeking) გულისხმობს მრავალფეროვანი, ახალი, კომპლექსური შეგრძნებებისა და გამოცდილებების მოთხოვნილების ქონას; მზაობას, გაიღო სოციალური და ფიზიკური რისკი მსგავსი გამოცდილების მისაღებად.[13] შეგრძნებათა მაძიებლობა თავისთავად რისკისაკენ მიდრეკილებას არ ნიშნავს, თვითმიზანი სარისკო ქცევის განხორციელება არ არის, შეგრძნებათა მაძიებლობისკენ ძლიერ მიდრეკილი ადამიანების გამოცდილებები ხშირ შემთხვევაში არც არის სარისკო (როკ მუსიკის მოსმენა, ეროტიკული ან ძალადობის შემცველი ფილმების ყურება), თუმცა აქტივობების ნაწილი რისკის შემცველია (მანქანის სწრაფად ტარება, ექსტრემალური სპორტით დაკავება, ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მიღება).[14] მიუხედავად ამისა, თანატოლთა აღქმული ქცევა და შეგრძნებათა მაძიებლობის მაღალი დონე სარისკო ქცევის ყველაზე ძლიერი პრედიქტორია, ეს განსაკუთრებით ეხება კრიმინალურ და სოციალური ნორმების დამრღვევ ქცევებს. აღნიშნული, ერთი მხრივ, აიხსნება იმით, რომ შეგრძნებათა მაძიებელნი სამეგობროდ ირჩევენ თავისივე ღირებულებებისა და ქცევების მქონე თანატოლებს, ამასთან, მათ ქცევებზე აპელირებით ამართლებენ საკუთარ სარისკო ქმედებებს, მეორე მხრივ, თანატოლები წარმოადგენენ მოდელს, რომელთა ქცევების იმიტირებასაც მოზარდი ახდენს.[15] შეგრძნებათა მაძიებლები ამ მახასიათებლის არმქონეთაგან რისკის შეფასებითაც განსხვავდებიან. ისინი ნაკლებად სარისკოდ აფასებენ სიტუაციებს და, შესაბამისად, ერთვებიან რისკის შემცველ აქტივობებში. ვერ აღიქვამენ სიტუაციას, როგორც საშიშს და ამასთან, სათანადოდ ვერ იაზრებენ სარისკო ქცევის ნეგატიურ შედეგებს.[15] შეგრძნებათა მაძიებლობისკენ მიდრეკილების არმქონე ადამიანები არათუ რისკს არიდებენ თავს, არამედ მათთვის ახალი შეგრძნებები და გამოცდილებები ჯილდოს არ წარმოადგენს.[16] ჯილდოს მაძიებლობასა და ასაკს შორის არ არის წრფივი კავშირი, ასაკის მატებასთან ერთად ჯილდოს მიმართ სენსიტიურობა და, შესაბამისად, ჯილდოს მაძიებლობა არ მცირდება. კვლევებით დადასტურდა, რომ ჯილდოს მიმართ სენსიტიურობა მნიშვნელოვნად მაღალია შუა მოზარდობის ასაკში, ვიდრე ადრეულ ან/და გვიან მოზარდობაში, რაც განპირობებულია ზემოთ განხილული ნეირობიოლოგიური ცვლილებით.[17]

თვითრეგულაცია/იმპულსურობა - კიდევ ერთ ფსიქოსოციალურ ფაქტორს, რომლის მიხედვითაც მოზარდები მოზრდილებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, იმპულსის კონტროლი წარმოადგენს. ბიოსოციალური განმარტების მიხედვით, იმპულსურობა არის 1) ქცევის უარყოფითი შედეგების მიმართ შემცირებული მგრძნობელობა, 2) ინფორმაციის სრულად გადამუშავებამდე სტიმულზე სწრაფი, დაუგეგმავი რეაქცია და 3) ქცევის გრძელვადიანი შედეგების გათვალისწინების

ISSN 1512-1801

უუნარობა.[18] გარდა იმისა, რომ მოზარდებს უჭირთ ქცევის საფუძვლად მდებარე იმპულსის კონტროლი, მათთვის სირთულეს წარმოადგენს ემოციების რეგულაციაც, ხშირად განიცდიან ექსტრემალური ინტენსივობის ემოციებს და ხასიათდებიან მათი სწრაფი ცვალებადობით.[4]

შეგრძნებათა მაძიებლობისგან განსხვავებით, იმპულსის კონტროლის ასაკობრივი განვითარების ხაზი წრფივია, რაც იმას ნიშნავს, რომ ათი წლიდან ეს მახასიათებელი მუდმივად მცირდება.[17] შეგრძნებათა მაძიებლობისა და იმპულსის კონტროლის განვითარების ამგვარი ტრაექტორია დადასტურებულია ლონგიტუდური კვლევითაც.[19]

მოზარდობის ასაკში ჯილდოს მაძიებლობა და იმპულსის კონტროლის სირთულე განიხილება სარისკო ქცევის მნიშვნელოვან პრედიქტორებად, თუმცა მათი გავლენა სარისკო ქცევაზე დამოუკიდებელია და არა ინტერაქციული.[20] მიუხედავად ამისა, შუა მოზარდობის პერიოდში სარისკო ქცევებისადმი გაზრდილი მოწყვლადობა, შესაძლოა, ჯილდოს მიღებისადმი გაზრდილი მისწრაფებისა და ჯერ კიდევ მოუმწიფებელი თვითკონტროლის კომბინაციის შედეგი იყოს.[17] გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ეს განპირობებულია ტვინის გარკვეული რეგიონების მოუმწიფებლობით და დამახასიათებელია ყველა მოზარდისთვის.[17]

აღსანიშნავია, რომ შეგრძნებათა მაძიებლობისა და იმპულსის კონტროლის მიხედვით არსებობს გენდერული განსხვავებები. შეგრძნებათა მაძიებლობის დონე ბიჭებში უფრო მაღალია, ვიდრე გოგოებში, ხოლო იმპულსის კონტროლის დონის მიხედვით, საწინააღმდეგო სურათია - ბიჭები მეტად ხასიათდებიან იმპულსურობით. ეს განსხვავება ვლინდება მოზარდობის განვითარების თითოეულ პერიოდში. შედეგად, ბიჭები უფრო მოწყვლადნი არიან სარისკო ქცევების განხორციელების მიმართ, ვიდრე გოგონები.[21] გენდერული განსხვავებები არსებობს ამ მახასიათებლების განვითარების ტრაექტორიის მიხედვითაც - გოგონები უფრო ადრე აღწევენ შეგრძნებათა მაძიებლობის პიკს, ვიდრე ბიჭები. ეს განსხვავება ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გოგოებში პუბერტატის პერიოდი უფრო ადრე იწყება. ამასთან, პიკის მიღწევის შემდეგ გოგოებში შეგრძნებათა მაძიებლობის დონე სწრაფად, მომენტალურად მცირდება, ხოლო მამრობითი სქესის წარმომადგენლებში მაღალი დონე ნარჩუნდება მოზარდობის შემდეგაც. რაც შეეხება იმპულსის კონტროლს, მოზარდ გოგონებში ეს უნარი მნიშვნელოვნად სწრაფად ვითარდება, ვიდრე ბიჭებში.[21]

როდესაც მართლმსაჯულების სისტემა პირს დამნაშავედ სცნობს და შესაბამის სასჯელს აკისრებს, მას ავტომატურად საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებელ პირად განიხილავს, ანუ ბრალუნარიანად მიიჩნევს. უკვე განხილული არაერთი კვლევით დასტურდება, რომ მოზარდთა განსჯის უნარი, რომელიც მოიცავს როგორც ინტელექტუალურ, ისე ემოციურ კომპონენტს, არ არის იმდენად მომწიფებული, რომ მოზარდმა საკუთარ ქმედებაზე სრული პასუხისმგებლობა აიღოს.[1] მთავარი პრობლემა არის იმ ასაკის განსაზღვრა, თუ როდის უნდა დაეკისროს მოზარდს სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ყველაზე ხელჩასაჭიდი, რასაც ამ დროს უნდა დავეყრდნოთ, ტვინის განვითარებაა, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ ეს პროცესი უდევს საფუძვლად იმ უნარების მომწიფებას, რომლებიც აუცილებელია მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მისაღებად. ტვინის მომწიფება არ სრულდება ადრეულ მოზრდილობამდე (დაახლოებით 21 წელი) - ასოციაციური ქერქის მომწიფება არ

ISSN 1512-1801

სრულდება გვიან მოზარდობამდე, ხოლო ამ ქერქის პრეფრონტალური რეგიონი ყველაზე გვიან მწიფდება. სწორედ ამ პროცესის შედეგად ვიღებთ ქცევით ცვლილებებს - იმპულსის შეკავება, ქცევის მართვა, დაგეგმილი აქტივობის განხორციელება, ხანგრძლივ პერსპექტივაში მიზნის დასახვა. ფაქტობრივად, ზრდასრულ ასაკამდე პიროვნება ბიოლოგიურად არ არის მზად იმისთვის, რომ განახორციელოს იმდენად გაკონტროლებული ქცევა, როგორიც საჭიროა სრული სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაღებად.[22]

ფაქტია, რომ მოზარდების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენას ახდენს ქცევის ხანგრძლივი შედეგების შეფასების უუნარობა, ქმედების გაკონტროლების სირთულე გარეგანი ზეწოლის პირობებში, ჯილდოზე და არა რისკზე ორიენტირებულობა, სამომავლო შედეგების ანტიციპაციის პრობლემა, იმპულსურობა. თუ ამ მახასიათებლებს სამართლებრივ ჩარჩოში განვიხილავთ, რათა ბრალუნარიანობა შევაფასოთ, დავასკვნით, რომ მოზარდები ნაკლებად პასუხისმგებელნი არიან საკუთარ დანაშაულზე, ვიდრე ზრდასრულები. ეს არ ათავისუფლებთ მოზარდებს სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუმცა უმსუბუქებს ბრალს.[24] მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ მოზარდთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დროს პოლიტიკის შემქმნელებმა, პრაქტიკოსებმა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ბავშვობასა და მოზარდობაში მიმდინარე იმ უნარებისა და მახასიათებლების განვითარებასთან დაკავშირებული ცვლილებები, რომლებიც განსაზღვრავს მოზარდთა კომპეტენციას, აიღონ სამართლებრივი პასუხისმგებლობა.[1]

ზემოთ განხილული თეორიებისა და კვლევების მიხედვით, 14 წელი, რომელიც დღეს საქართველოში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკია, არის ის ასაკი, როდესაც მოზარდი ყველაზე მეტად არის მოწყვლადი სარისკო ქცევების მიმართ, ყველაზე ცუდად აქვს განვითარებული ის ფსიქოსოციალური უნარები, რომლებსაც ბრალუნარიანობის კონცეფცია ეყრდნობა. წინამდებარე კვლევის მიზანი სწორედ ამ უნარების ასაკობრივი განვითარების შესწავლაა.

კვლევის ჰიპოთეზები: ადრეული, შუა და გვიანი მოზარდობის ასაკში მყოფი ინდივიდები სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებიან შეგრძნებათა მაძიებლობის, იმპულსურობისა და გადაწყვეტილების მიღების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით. ასაკის მატებასთან ერთად მცირდება შეგრძნებათა მაძიებლობისა და იმპულსურობის, ხოლო იზრდება(უმჯობესდება) გადაწყვეტილების მიღების საშუალო მაჩვენებელი.

კვლევის მეთოდი

კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 12-დან 26 წლამდე ასაკის 397-მა რესპონდენტმა, მათგან 264 (66.5%) იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 133 (33.5%) - მამრობითი. საშუალო ასაკი შეადგენდა 17 წელს. რაც შეეხება ასაკობრივ განაწილებას, სიხშირულად ჭარბობენ 13 (14.1%), 14 (11.6%), 15 (10.3%) წლის მოზარდები, რაც კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია. შერჩევის დიზაინი იყო არაალბათური ხელმისაწვდომი შერჩევა.

ISSN 1512-1801

კვლევის ინსტრუმენტები

შეგრძნებათა მაძიებლობა (sensation seeking) - შეგრძნებათა მაძიებლობის საკვლევად გამოყენებულ იქნა Zuckerman-ის[23] შეგძნებათა მაძიებლობის კითხვარი, რომელიც შედგება 40 დებულებისგან, თითოეული დებულება მოიცავს ორ ასარჩევ პასუხს, რომელთაგანაც რესპონდენტმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი. პასუხი, რომელიც შეესაბამება ახალი შეგრძნებებისკენ სწრაფვას, ფასდება 1 ქულით, მეორე პასუხი - 0 ქულით, შესაბამისად, კითხვარში მიღებული მაქსიმალური ქულა შესაძლოა იყოს 40.

კითხვარი მოიცავს ოთხ სუბსკალას: 1. მღელვარებისა და თავგადასავლების მაძიებლობა - გამოხატავს ისეთ სარისკო ფიზიკურ აქტივობებსა და სპორტში ჩართულობის სურვილს, რომლებიც იწვევს უჩვეულო შეგრძნებებს. 2. გამოცდილების მაძიებლობა - მოიცავს ისეთი ახალი შეგრძნებებისა და გამოცდილებების ძიებას, როგორებიცაა მუსიკის მოსმენა, ფსიქოდელიური ნარკოტიკების მიღება, ხელოვნებითა და მოგზაურობით გამოწვეული შეგრძნებები, სოციალური არაკონფონფორმულობა. 3. ლტოლვათა განმუხრუჭება (Disinhibition) - შეგრძნებათა მაძიებლობა ალკოჰოლის მიღებით, წვეულებებზე სიარულით, აზარტული თამაშების თამაშით, სექსუალური გამოცდილებების მიღებით. 4. მოწყენილობისადმი სენსიტიურობა - დებულებები აღწერს ნებისმიერი განმეორებითი გამოცდილებისადმი დაბალ ტოლერანტობას, მათ შორისაა რუტინული საქმიანობა და მოსაწყენი ადამიანები.[16] კითხვარი ითარგმნა ქართულ ენაზე ორი ადამიანის მიერ დამოუკიდებლად, მოსაზრებების შეჯერების შემდეგ, კითხვარიდან ამოღებულ იქნა ერთი დებულება კულტურული ფაქტორებისა და სამიზნე რესპონდენტების გათვალისწინებით, შესაბამისად, კითხვარის მაქსიმალური ქულა შეადგენდა 39-ს.

იმპულსურობა - იმპულსურობის შესასწავლად გამოყენებულ იქნა The Barratt Impulsiveness Scale (BIS-11).[25] სკალა შედგება 30 დებულებისგან, რომლებიც აღწერენ იმპულსურ და არაიმპულსურ (რევერსირებული) ქცევებსა და მიდრეკილებებს. თითოეული დებულება ფასდება ოთხბალიან სკალაზე, სადაც 1 = არასდროს, 2 = ზოგჯერ, 3 = ხშირად, 4 = ყოველთვის. რაც უფრო მაღალია ჯამური ქულა, მით უფრო მაღალია იმპულსურობის დონე.

გადაწყვეტილების მიღება - გადაწყვეტილების მიღების უნარის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა O'Hare, Santin, Winter & McGuinness - ის ერთგანზომილებიანი კითხვარი ‘’ბავშვების და მოზარდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (CAP-DMQ)’’, რომელიც მოიცავს 10 დებულებას, რომლებზე პასუხიც ფიქსირდება ლაიკერტის ექვსბალიან სკალაზე, სადაც 1 = სრულიად ვეთანხმები, 2 = ვეთანხმები, 3 = ნაწილობრივ ვეთანხმები, 4 = ნაწილობრივ არ ვეთანხმები, 5 = არ ვეთანხმები, 6 = სრულიად არ ვეთანხმები. დაბალი ჯამური ქულა მიუთითებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მაღალ დონეზე.[10]

კვლევის პროცედურა

კვლევაში მონაწილეები ჩაერთვნენ ხელმისაწვდომობის პრინციპით საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან, მათ შორის, თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან და ზუგდიდიდან. სკოლის მოსწავლე რესპონდენტების მოძიებაში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სკოლის დირექტორები, სასწავლო ნაწილები, დამრიგებლები და

ISSN 1512-1801

მასწავლებლები. 18 წლამდე ინდივიდების შეთხვევაში კითხვარი ივსებოდა მშობლისა და მოზარდის ინფორმირებული თანხმობის შემდეგ, ხოლო 18 წელს ზემოთ მხოლოდ რესპონდენტების ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე. კითხვარის შევსებას ესაჭიროებოდა დაახლოებით 15 წუთი, თითოეული ბლოკის შევსებამდე კვლევის მონაწილეებს მიეწოდებოდათ ინსტრუქცია. კვლევის მონაწილეები კითხვარს ავსებდნენ ელექტრონულ ფორმატში.

შედეგები

ინსტრუმენტების სანდოობა

კვლევაში გამოყენებული თითოეული ინსტრუმენტი ხასიათდება საკმაოდ მაღალი სანდოობით - შეგრძნებათა მაძიებლობის სკალის შინაგანი შეთანხმებულობის კოეფიციენტი შეადგენს .81-ს (39 დებულება), იმპულსურობის სკალის სანდოობის მაჩვენებელია 0.74 (30 დებულება), ხოლო გადაწყვეტილების მიღების საზომის ალფა კოეფიციენტი - 0.9 (10 დებულება).

სქესთა შორის განსხვავებები

სქესთა შორის განსხვავებების დასადგენად შესრულდა დამოუკიდებელი შერჩევის t-ტესტი. მდედრობითი (M=14.05; SD=0.95) და მამრობითი (M=13.63; SD=1.21) სქესის წარმომადგენლებს შორის დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება შეგრძნებათა მაძიებლობის ქვესკალის, ლტოლვათა განმუხრუჭების მიხედვით $t(215.87)=-3.46$, $p<.01$. გარდა ამისა, მდედრობითი (M=7.17; SD=2.03) და მამრობითი (M=6.58; SD=2.08) სქესის წარმომადგენლები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან იმპულსურობის ქვესკალის - კოგნიტური არასტაბილურობის მიხედვით $t(395)=-2.73$, $p<.01$. იხილეთ ცხრილი N1.

სხვა სკალების ან ქვესკალების მიხედვით, სქესთა შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა.

ცხრილი N1

დამოუკიდებელი შერჩევის T-ტესტი მდედრობით და მამრობით სქესს შორის ლტოლვათა განმუხრუჭებისა და კოგნიტური არასტაბილურობის მიხედვით

ცვლადი	ჯგუფი						95% CI for Mean Difference		t	df
	მდედრობითი			მამრობითი						
	M	SD	n	M	SD	n				
ლტოლვათა განმუხრუჭება	14.05	0.95	264	13.63	1.21	133	-.655,	-.180	-3.46*	215.87
კოგნიტური არასტაბილურობა	7.17	2.03	264	6.58	2.08	133	-1.02,	-1.67	-2.73*	395

**p<.01*

ISSN 1512-1801

ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებები

კვლევაში მონაწილე 397 რესპონდენტი ასაკის მიხედვით (M=17.31; SD=4.07) დაიყო ხუთ ჯგუფად - 12-14 წელი - ადრეული მოზარდობა (22.2%, N=88), 15-16 წელი - შუა მოზარდობა (21.9%, N=87), 17-18 წელი - გვიანი მოზარდობა (11.6%, N=46), 19-21 წელი - ადრეული მოწიფულობა (23.2%, N=92) და 22-25 წელი - ახალგაზრდობა (21.2%, N=84). ხუთ ასაკობრივ ჯგუფს შორის არსებული განსხვავებების დასადგენად გამოყენებულ იქნა ცალმხრივი ვარიაციული ანალიზი (One-way analysis of variance). შეგრძნებათა მაძიებლობის ერთ-ერთი ქვესკალის, გამოცდილების მაძიებლობის, მიხედვით, ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო (F(4,392)=5.24, p<.01). აღნიშნული განსხვავების ეფექტის ზომა (Effect size), რომელიც გამოთვლილია eta squared-ის მეშვეობით, უტოლდება .23-ს, რაც კოჰენის კლასიფიკაციით, ძლიერ ეფექტზე მიუთითებს. Tukey HSD-ის მეშვეობით გამოთვლილმა Post-Hoc-მა აჩვენა, რომ პირველი ასაკობრივი ჯგუფის საშუალო (M=15.56; SD=1.23) სტატისტიკურად სანდოდ აღემატება მეოთხე (M=14.95; SD=1.32) და მეხუთე (M=14.71; SD=1.35) ასაკობრივი ჯგუფების საშუალოებს.

ასაკობრივ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა იმპულსურობის ქვესკალის - კოგნიტური არასტაბილურობის მიხედვით (F(4,392)=4.08, p<.01). Post-Hoc-ის საფუძველზე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პირველი ასაკობრივი ჯგუფის საშუალო (M=6.5; SD=1.89) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება მეოთხე ასაკობრივი ჯგუფის საშუალოსაგან (M=7.64; SD=2), ანუ კოგნიტური არასტაბილურობის მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია პირველი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებში, მეოთხე ასაკობრივი ჯგუფის წევრთა ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. ეფექტის ზომა შეადგენს .2-ს, რაც ძლიერ ეფექტს გამოხატავს.

მსგავსი ტენდენცია გამოვლინდა პირველი (M=12.76; SD=3.43) და მეოთხე (M=14.68; SD=3.86) ასაკობრივი ჯგუფების იმპულსურობის ქვესკალის – მოტორული იმპულსურობის საშუალოების შედარებისას, (F(4,392)=3.41, p<.01). არსებული განსხვავების ეფექტის ზომა შეადგენს .19-ს, რაც ძლიერ ეფექტად მიიჩნევა.

იმპულსურობის ქვესკალის, თვითკონტროლის, მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ასევე გამოვლინდა პირველი (M=14.45; SD=3.57) და მეოთხე (M=12.55; SD=3.25) ასაკობრივი ჯგუფების საშუალოებს შორის (F(4,392)=3.89, p<.01), თუმცა, ამ შემთხვევაში საწინააღმდეგო სურათი იქნა მიღებული - პირველი ასაკობრივი ჯგუფის მაჩვენებლები აღემატება მეოთხე ჯგუფისას. ეფექტის ზომა (.199) ძლიერი ეფექტის არსებობაზე მიგვანიშნებს.

პირველი ასაკობრივი ჯგუფის საშუალო (M=26.67; SD=4.9) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება მეოთხე (M=24.02; SD=4.5) და მეხუთე (M=24.47; SD=5.3) ასაკობრივი ჯგუფების საშუალოებისგან იმპულსურობის ქვესკალის – დაუგეგმაობის - მიხედვით (F(4,392)=3.87, p<.01). ეფექტის ზომა (0.198) ძლიერი ეფექტის არსებობას ადასტურებს. იხილეთ ცხრილი N2 და ცხრილი N3.

ISSN 1512-1801

ცხრილი N2

ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებების ცალმხრივი ვარიაციული ანალიზი

ცვლადი	12-13		18-21		22-25		F(4,392)	η^2
	M	SD	M	SD	M	SD		
გამოცდილების მაძიებლობა	15.56	1.23	14.95	1.32	14.71	1.35	5.24*	.23
დაუგეგმაობა	26.67	4.9	24.02	4.5	24.47	5.3	3.87*	.20

**P<.01*

ცხრილი N3

ცალმხრივი ვარიაციული ანალიზი ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებების შესამოწმებლად

ცვლადი	12-13		18-21		F(4,392)	η^2
	M	SD	M	SD		
კოგნიტური არასტაბილურობა	6.5	1.89	7.64	2	4.08*	.21
მოტორული იმპულსურობა	12.76	3.43	14.68	3.86	3.41*	.19
თვითკონტროლი	14.45	3.57	12.55	3.25	4.39*	.20

**P<.01*

შედეგების ანალიზი

წინამდებარე კვლევის მიზანს იმ ზოგიერთი ფსიქოლოგიური ფაქტორის ასაკობრივი განვითარების შესწავლა წარმოადგენდა, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება ბრალუნარიანობის კომპონენტების დაკმაყოფილებისა და, შედეგად, სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დადგენის საკითხი. არსებული თეორიული და ემპირიული ცოდნის გათვალისწინებით შემუშავებული ჰიპოთეზების შემოწმების გზით უნდა გვეპასუხა კითხვაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად 14 წლის მიჩნევა.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არცერთი შესწავლილი ფაქტორის მიხედვით არ გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება ადრეულ და შუა მოზარდობის ასაკის კვლევის მონაწილეთა შორის. ასაკობრივ ჯგუფებს შორის დაფიქსირებული სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ერთიან ტენდენციას ქმნის - 12-13 წლის მოზარდები, რიგი მახასიათებლების მიხედვით, განსხვავდებიან 18-21 და 22-25 წლის ინდივიდებისგან, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ თუ შესწავლილი ფაქტორების მიხედვით ადრეულ და შუა მოზარდობის ასაკში მყოფი პირები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან, მაშინ სამართლის სფეროში მათდამი განსხვავებული მიდგომების არსებობა აზრსმოკლებულია.

ISSN 1512-1801

გამოცდილების მაძიებლობა, რომელიც შეგრძნებათა მაძიებლობის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს, საკმაოდ მაღალია 12-13 წლის ასაკში, შემდეგ კი წრფივი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც ლოგიკურია არსებული თეორიული და კვლევითი ინფორმაციის გათვალისწინებით. სწორედ ადრეული მოზარდობის ასაკში მიმდინარეობს რიგი ფიზიოლოგიური ცვლილებები, რომლებიც მოზარდს ჯილდოს მიღებისადმი მეტად სენსიტიურს ხდის.[6] ამ შემთხვევაში ჯილდოს სწორედ ახალი გამოცდილების შეძენა წარმოადგენს. 12-13 წლის მოზარდების სწრაფვა გამოცდილების შეძენისაკენ მნიშვნელოვნად აღემატება 18-21 და 22-25 წლის პირთა იმავე მახასიათებელს, რაც კვლავ ნეიროგანვითარების სპეციფიკით აიხსნება - გვიან მოზარდობასა და ადრეულ მოწიფულობაში სოციოემოციური სისტემა მეტადაა დასტაბილურებული.[5] მაშინ, როცა გამოცდილების შეძენის ტენდენცია მაქსიმალურად არის გამოხატული ადრეული მოზარდობის ასაკში, მოზარდი მზადაა გაიღოს მნიშვნელოვანი რისკი ჯილდოს მოსაპოვებლად და ეს ტენდენცია გვიან მოზარდობამდე გრძელდება. შესაბამისად, თუ სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად 14 წელს განვსაზღვრავთ, გამოდის, რომ მოზარდს არაადეკვატურ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ მაშინ, როცა ის მეტად მოწყვლადია სარისკო ქმედებების მიმართ და განსჯის სოციოემოციური კომპონენტის მოუმწიფებლობის გამო, ვერ იღებს ზრდასრული ასაკისთვის შესაბამის მიზანშეწონილ გადაწყვეტილებას.[22]

ასაკობრივ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა იმპულსურობის ოთხი ქვესკალის - კოგნიტური არასტაბილურობა, მოტორული იმპულსურობა, თვითკონტროლი, დაუგეგმაობა - მიხედვით.

იმპულსურობის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის - დაუგეგმაობის - ასპექტით იმავე ტიპის განსხვავებები ვლინდება, რაც გამოცდილების მაძიებლობის შემთხვევაში. 12-13 წლის ასაკში მოზარდებს უჭირთ სპონტანური ქცევების ბლოკირება და მის საპირწონედ დაგეგმილი აქტივობის აღძვრა, რასაც მნიშვნელოვნად უკეთ ახერხებენ 18-21 და 22-25 წლის ინდივიდები. აღნიშნული განსხვავებები ტვინის განვითარების, კერძოდ კი, პრეფრონტალური ქერქის მომწიფების სპეციფიკით აიხსნება. ეს პროცესი გვიან მოზარდობამდე და ადრეულ მოწიფულობამდეც კი გრძელდება, შედეგად, ამ ასაკამდე მოსალოდნელია იმპულსის შეკავების სირთულისა და სპონტანური, დაუფიქრებელი აქტივობების არსებობა.[22] აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მახასიათებლის მიხედვით, ადრეული და შუა მოზარდობის ასაკში მყოფი ინდივიდები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შუა მოზარდობის ასაკში, როცა ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული ის უნარები, რომელთა არსებობაც აუცილებელია მიზანშეწონილი ქცევის განსახორციელებლად, არცთუ გამართლებულია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ქცევის შეკავებასა და აღძვრას განაპირობებს, თვითკონტროლია. კვლევის შედეგების მიხედვით, თვითკონტროლის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 12-13 წლის ასაკში გვხვდება, ასაკის მატებასთან ერთად ეს უნარიც ვითარდება და უკვე 18-21 წლის ასაკში მნიშვნელოვნად აღემატება ადრეულ მოზარდობაში მისი განვითარების დონეს. მიღებული შედეგი მოულოდნელობას ნამდვილად არ წარმოადგენს, ვინაიდან დუალისტური სისტემების მოდელის მიხედვით, თვითრეგულაციის უნარი კოგნიტური კონტროლის სისტემის განვითარების კვალდაკვალ ვითარდება მაშინ, როცა შესაძლებელი ხდება აფექტისა და კოგნიციის კოორდინაცია, ეს პროცესი კი 25 წლამდე მიმდინარეობს.[6] თვითკონტროლის

ISSN 1512-1801

მიხედვით, ადრეულ და შუა მოზარდობის ასაკს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ ვლინდება, ვინაიდან ეს უნარი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. შესაბამისად, ამ ასაკში ქცევაზე სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით ჩვენ მოზარდის განვითარების სპეციფიკას უგულებელვყოფთ.

იმპულსურობის შემადგენელი ორი კომპონენტის - კოგნიტური არასტაბილურობისა და მოტორული იმპულსურობის - მიხედვით გამოვლენილი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. ადრეული მოწიფულობის ასაკში (18-21 წელი) მყოფი ინდივიდების მოტორული იმპულსურობისა და კოგნიტური არასტაბილურობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ადრეული მოზარდობის ასაკში მყოფი პირების. შედეგის მოულოდნელობას უკვე განხილული თეორიული მოდელები და მათ საფუძველზე ჩატარებული კვლევების შედეგები განაპირობებს, რომელთა მიხედვითაც, ხსენებული ფაქტორები ადრეული მოზარდობიდან ადრეულ მოწიფულობამდე წრფივად ვითარდება, იმპულსურობის დონე მცირდება.[17] მიღებული შედეგის ახსნა, ალბათ, ადრეული მოწიფულობის ასაკობრივი განვითარების სპეციფიკაში უნდა ვეძებოთ. ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, საგანმანათლებლო ცვლილებების ფონზე 18-25 წლის ასაკში მყოფი ინდივიდები ახალი გამოწვევების წინაშე დადგნენ და ახალი მახასიათებლები შეიძინეს: იდენტობის ძიება, არასტაბილურობა ურთიერთობებში და საქმიანობაში, სხვადასხვა შესაძლებლობების განხილვის საჭიროება.[26] შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტორების გამო, ისინი უფრო მეტად ხასიათდებიან მოტორული იმპულსურობითა და კოგნიტური არასტაბილურობით, ვიდრე ადრეული მოზარდობის ასაკში მყოფნი, რომლებიც მსგავსი გამოწვევების წინაშე არ არიან. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მახასიათებლების მიხედვით ადრეული და შუა მოზარდობის ასაკში მყოფი ინდივიდები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან, რაც კიდევ ერთ საფუძველს ქმნის მათდამი განსხვავებული სამართლებრივი მიდგომების არსებობის მიზანშეწონილობის ეჭვქვეშ დაყენებისთვის.

ასაკის მიხედვით არ გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავებები გადაწყვეტილების მიღების უნარის მიხედვით, შესაბამისად, მესამე ჰიპოთეზა არ დადასტურდა. ამის მიზეზი, შესაძლოა, კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტის სპეციფიკა იყოს. გადაწყვეტილების მიღების უნარს კვლევებში ძირითადად ინტელექტის ტესტით აფასებენ,[17] წინამდებარე კვლევაში კი იგი თვითანგარიშის კითხვარით იქნა შეფასებული, ინტელექტის ტესტის ადმინისტრირების სირთულიდან გამომდინარე.

გარდა ასაკობრივი განსხვავებებისა, შედეგებმა სქესთა შორის არსებული განსხვავებებიც გვიჩვენა. გოგონებს აღენიშნებათ ლტოლვათა განმუხრუჭებისა და კოგნიტური არასტაბილურობის უფრო მაღალი დონე, ვიდრე ბიჭებს, რაც ეწინააღმდეგება აქამდე ჩატარებული კვლევის შედეგებს, სადაც ბიჭები ხასიათდებოდნენ, როგორც შეგრძნებათა მაძიებლობის, ისე იმპულსურობის უფრო მაღალი დონით.[21] მოზარდობის ასაკი ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობისკენ გამძაფრებული სწრაფვით ხასიათდება, მშობლებისგან სეპარაცია და თანატოლებთან ემოციური მიჯაჭვულობის ფორმირება მოზარდობის ასაკის თანმხლები მოვლენაა. რაც უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანია შემზღუდავი ნორმა, მით უფრო ძლიერია ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის ტენდენცია.[26] როცა გენდერულ განსხვავებებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია მისი კულტურის კონტექსტში

ISSN 1512-1801

განხილვა, ვინაიდან გენდერი კულტურული მოლოდინების მატარებელი სოციალური კონსტრუქტია. ქართულ კულტურაში მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისადმი მეტი ამკრძალავი ნორმა არსებობს, შესაბამისად, სავარაუდოდ, მოზარდობის ასაკში გოგონები არსებული შეზღუდვების საპირწონედ მეტი ავტონომიურობის სურვილით ხასიათდებიან, რაც, შესაძლოა, სწორედ ლტოლვების განმუხრუჭებასა და იმპულსურობაში ვლინდებოდეს. ვინაიდან ქართულ კულტურაში ამ კუთხით გენდერული განსხვავებების შესწავლა არ მომხდარა, არსებული მსჯელობა თეორიულ სპეკულაციად შეიძლება ჩაითვალოს.

დასკვნა

წინამდებარე კვლევის შედეგების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ შეგრძნებათა მაძიებლობისა და იმპულსურობის ზოგიერთი კომპონენტის მიხედვით განსხვავებები არსებობს ადრეული და გვიანი მოზარდობის ასაკობრივ ჯგუფებსა და ადრეული მოზარდობისა და ადრეული მოწიფულობის ასაკობრივ ჯგუფებს შორის. არცერთი ფაქტორის მიხედვით არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი განსხვავება ადრეული და შუა მოზარდობის ასაკობრივ ჯგუფებს შორის. მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ ზოგიერთი ფაქტორის მიხედვით, რომლებიც ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან საფუძვლად უდევს ბრალუნარიანობის კომპონენტებს, მოზარდები, რომელთაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ, არ განსხვავდებიან მათგან, ვისაც ეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

კვლევის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ქართულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში აქტუალური ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის - სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის - სამართლებრივი საფუძვლების დაკავშირება ფსიქოლოგიურ კონცეფციებთან.

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულება - კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს შესასწავლილი ცვლადების სიმწირე, მეტი ფსიქოსოციალური და კოგნიტური ფაქტორის შესწავლა უფრო სანდო შედეგების მიღების შესაძლებლობას მოგვეცმდა. გარდა ამისა, სასურველი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღების უნარის საზომი ინსტრუმენტი შესრულებაზე დაფუძნებული ხასიათის ყოფილიყო და არა თვითანგარიშის კითხვარი. გარდა ამისა, სპეციფიკური შერჩევის დიზაინის არსებობის გამო, კვლევის შედეგების განზოგადება პრობლემურია, თუმცა გარეგანი ვალიდობის არარსებობის მიუხედავად, ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების დადგენა შესაძლებელი იყო, რასაც დამატებით ხელს უწყობდა შერჩევის მოცულობა.

საკითხის მნიშვნელოვნებიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, აუცილებელია მომავალში ამ მიმართულებით უფრო კომპლექსური კვლევების ჩატარება. საჭიროა, დაგროვდეს მრავალმხრივი ემპირიული მასალა, რათა ამ სფეროში მოღვაწე ფსიქოლოგებს ჰქონდეთ მყარი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული არგუმენტები, რომლებიც სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის გადახედვის, ან არსებულის შენარჩუნების მყარ არგუმენტებს უზრუნველყოფდა, რათა მომავალში მეტად გათვალისწინებულ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები და არ შეფერხდეს მოზარდის ჰარმონიული განვითარება.

ISSN 1512-1801

გამოყენებული ლიტერატურა

1. [1]Steinberg, L.. Adolescent Development and Juvenile Justice. Annual Review of Clinical Psychology, (2009), 5(1), 459–485.
2. [2]ტურავა, მ. სისხლის სამართალი, თბილისი: გამომცემლობა ''მერიდიანი'' (2013), მე-9 გამოცემა.
3. [3]Steinberg, L., Cauffman, E., Woolard, J., Graham, S., & Banich, M.. Are adolescents less mature than adults?: Minors' access to abortion, the juvenile death penalty, and the alleged APA "flip-flop." American Psychologist, (2009a), 64(7), 583–594.
4. [4]Scott, E. S., & Steinberg, L. Rethinking juvenile justice. Harvard University Press, (2008), (379).
5. [5]Steinberg, L. Risk Taking in Adolescence. Current Directions in Psychological Science, (2007),16(2), 55–59.
6. [6]Steinberg, L. A social neuroscience perspective on adolescent risk-taking. Developmental Review, (2008), *28(1), 78–106.*
7. [7]გაეროს ბავშვთა ფონდი, საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში (2011).
8. [8]საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2015).
9. [9]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999).
10. [10]O'Hare, L., Santin, O., Winter, K., & McGuinness, C. The Reliability and Validity of a Child and Adolescent Participation in Decision Making Questionnaire. Child: Care, Health and Development, (2016), 42(5), 692-698.
11. [11]Steinberg, L., Cauffman, E. Maturity of judgment in adolescence: Psychosocial factors in adolescent decision making. Law Hum Behav, (1996), 20, 249–272.
12. [12]Modecki, KL. Addressing gaps in the maturity of judgment literature: age differences and delinquency. Law Hum Behav, (2008), 32(1):78-9.
13. [13]Zuckerman, M. Sensation seeking: Beyond the optimal level of arousal. Hillsdale, N.J. : New York : L. Erlbaum Associates;, (1979).
14. [14]Zuckerman, M. Sensation seeking and risky behavior. American Psychological Association, (2007), (317).
15. [15]Horvath, P., & Zuckerman, M. Sensation seeking, risk appraisal, and risky behavior. Personality and Individual Differences, (1993), 14(1),41–52.
16. [16]Ruch, W. & Zuckerman, M. Sensation seeking in adolescents. In: J. Raithel (Hrsg.), Risikoverhaltensweisen Jugendlicher: Erklärungen, Formen und Prävention. Opladen: Leske + Budrich, (2001), 97-110.
17. [17]Steinberg, L. A dual systems model of adolescent risk-taking. Developmental Psychobiology, (2010), 52(3):216-24.
18. [18]Moeller, F. G., Barratt, E. S., Dougherty, D. M., Schmitz, J. M., & Swann, A. C. Psychiatric Aspects of Impulsivity. American Journal of Psychiatry, (2001), 158(11), 1783–1793.
19. [19]Harden, K. P., & Tucker-Drob, E. M. Individual differences in the development of sensation seeking and impulsivity during adolescence: Further evidence for a dual systems model. Developmental Psychology, (2011), 47(3), 739–746.
20. [20]Duell, N., Steinberg, L., Chein, J., Al-Hassan, S. M., Bacchini, D., Lei, C., … Alampay, L. P. Interaction of reward seeking and self-regulation in the prediction of risk taking: A cross-national test of the dual systems model. Developmental Psychology, (2016), 52(10), 1593–1605.
21. [21]Shulman, E. P., Harden, K. P., Chein, J. M., & Steinberg, L. Sex Differences in the Developmental Trajectories of Impulse Control and Sensation-Seeking from Early Adolescence to Early Adulthood. Journal of Youth and Adolescence, (2014), 44(1), 1–17.

ISSN 1512-1801

22. [22]Gur, R.C. Brain maturation and its relevance to understanding criminal culpability of juveniles. Curr Psychiatry Rep, (2005), 7, 292–296.
23. [23]Zuckerman, M., Kolin, E. A., Price, L., & Zoob, I. Development of a sensation-seeking scale. Journal of Consulting Psychology, (1964), 28(6), 477–482.
24. [24]Cauffman, E., & Steinberg, L. Emerging Findings from Research on Adolescent Development and Juvenile Justice. Victims & Offenders, (2012), 7(4), 428–449.
25. [25]Patton, J. H., Stanford, M. S., & Barratt, E. S. Factor structure of the barratt impulsiveness scale. Journal of Clinical Psychology, (1995), 51(6).
26. [26]Steinberg, L. Adolescent. New York : McGraw-Hill Education, (2016). 561.

ცხრილების რაოდენობა - 3

Article received 2023-05-08